დამტკიცებულია ბათუმის

სამედიცინო აკადემიის   დირექტორის

№1659  ბრძანებით   04.02.2025 წელი

ცვლილება შევიდა 2025 წლის 25 ივნისის N 9777 ბრძანებით

# სტრატეგიული განვითარების გეგმა

***2025-2031***

## აკადემიის შესახებ ინფორმაცია

საზოგადოებრივი პროფესიული სასწავლებელი, ბათუმის სამედიცინო აკადემია ფუნქციონირებს 1992 წლიდან და ახორციელებს მრავალპროფილურ საგანმანათლებლო პროგრამებს. ,,ბათუმის სამედიცინო აკადემია'' ორიენტირებულია ჯანდაცვის მიმართულებით კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, პროფესიული კადრების მომზადებაზე. არსებობის მანძილზე სასწავლებელი დაამთავრა ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტმა , რომლებიც პროფესიის მიხედვით დასაქმებულნი არიან რეგიონის წამყვან სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებებში, საქმიანობენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

აკადემიას გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურა - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკუთარი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, ბიბლიოთეკა, კაბინეტ-ლაბორატორიები, მჭიდრო კავშირი აქვს დამსაქმებლებთან. აკადემიას ჰყავს რეგიონში წამყვანი პროფესიული მასწავლებლები.

ბათუმის სამედიცინო აკადემია მუდმივად არის სიახლეების ძიებაში და აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში პროფესიული განათლების რეფორმის მხარდაჭერისათვის. 2015 წელს სამედიცინო აკადემიას გადაეცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მადლობის ბარათი.

2016 წლიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობს ტურიზმისა და სამედიცინო აღჭურვილობების საერთაშორისო გამოფენისა და მისი ეგიდით გამართულ კონფერენციებში.

აკადემია არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის აქტიური წევრი. 2016 წელს სასწავლებელმა მიიღო უმაღლესი ორგანიზაციული შეფასება და მიენიჭა ხუთი ვარსკვლავი.

2024 წელს ბათუმის სამედიცინო აკადემიამ აშს საელჩოს ტექნიკური და პროფესიული განათლების, სწავლების (TVET)მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში მოიპოვა გრანტი ,, პროფესიული სტუდენტების დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა აჭარის რეგიონში პროფესიული კონსულტაციისა და კარიერული განვითარების სისტემის დანერგვით''.

## ბათუმის სამედიცინო აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები

აკადემია თავის მისიას განსაზღვრავს გლობალური განვითარების კონტექსტში და მიზნად ისახავს მედიცინის სფეროში საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაციას. მისი საქმიანობა ეფუძნება სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და ინოვაციურ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებას.

აკადემიის მთავარი პრიორიტეტია კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან თანამედროვე თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. იგი აქტიურად აყალიბებს საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიულ განვითარებას.

მუდმივი ინოვაციებისა და განვითარების გზით, აკადემია ისწრაფვის რეგიონში ლიდერის პოზიციის დაკავებისკენ, რაც განაპირობებს მის მნიშვნელოვან როლს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

### მისია

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კვალიფიციური ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების მოზადება და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის. ბათუმის სამედიცინო აკადემია უზრუნველყოფს ინოვაციური სწავლების დანერგვას და პროფესიული განათლების პოლიტიკაში ეფექტურ ჩართულობას.

### ხედვა

ბათუმის სამედიცინო აკადემია რეგიონში წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს ჯანდაცვის სფეროს განვითარებას. აკადემია ამზადებს მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს, რომლებიც გამოირჩევიან პროფესიული პასუხისმგებლობით, ეთიკური პრინციპების დაცვითა და ხარისხზე ორიენტირებული მიდგომით. 2031 წლისთვის, ჩვენ ვამზადებთ მომავალი თაობის ჯანდაცვის ლიდერებს, რომლებიც ცოდნის, ინოვაციების და ჰუმანიზმის მეშვეობით გააუმჯობესებენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

### ღირებულებები

➢ პროფესიონალიზმი - მაღალი პროფესიული და აკადემიური სტანდარტები დაცვა. ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და პროგრამული შესაძლებლობების განვითარება.

➢ ინოვაცია – ახალი მეთოდებისა და იდეების დანერგვა.

➢ ეთიკა –დემოკრატიული ღირებულებების დაცვა და სამართლიანი გადაწყვეტილებების უზრუნველყოფა.

➢ გუნდურობა – ერთიანი ძალისხმევა მდგრადი განვითარებისთვის.

➢ პასუხისმგებლობა – თანამშრომლების, სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებზე ზრუნვა.

## მთავარი მიზნები

- ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება ჯანდაცვის სფეროში
- სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული შესაძლებლობების განვითარება
- თანამშრომლობა სახელმწიფო ინსტიტუტებთან და დამსაქმებლებთან ეფექტური განათლების პოლიტიკის შექნისა და განხორციელებისთვის
- პროფესიულ ასოციაციების წევრობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე
- არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და პარტნიორობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან
- მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში მონაწილეობა და მხარდაჭერა
- გენდერული თანასწორობა,
- ღირსეული სამსახური და ეკონომიკური გაძლიერება:
- ხარისხიანი განათლება
- ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

## ბათუმის სამედიცინო აკადემიის საქმიანობა

აკადემია ახორციელებს ჯანდაცვის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა მიზანია კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება:

1. საექთნო განათლება
2. ფარმაცია (სააფთიაქო)
3. კბილის სატექნიკო საქმე

ბათუმის სამედიცინო აკადემია წარმოადგენს პროფესიული განათლების ერთ-ერთ წამყვან სასწავლებელს რეგიონში, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლას. ჩვენი მიზანია მზადყოფნაში მყოფი,

მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ეფექტურად ჩაერთვებიან ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში.

მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი „მედცენტრთან“ სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული მომზადების პროგრამა ,,სამედიცინო რეინჯერი'', რომელიც პირველად განხორციელდება აჭარაში და უზრუნველყოფს მსმენელების დასაქმებას.

ბათუმის სამედიცინო აკადემიის მმართველობა

აკადემიის მმართველი სუბიექტები უზრუნველყოფენ ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებას, ოპერაციულ მართვას და აკადემიური ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას

## მმართველობის სტრუქტურა:

პარტნიორთა კრება (უმაღლესი მმართველი ორგანო)

- აკადემიის უმაღლესი მმართველი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება.
- კრება ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორს.
- პარტნიორთა საერთო კრების სხვა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია აკადემიის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

დირექტორი (აღმასრულებელი ხელმძღვანელი)

- ხელმძღვანელობს და წარმართავს აკადემიის საქმიანობას.
- უზრუნველყოფს აკადემიის სტრატეგიულ განვითარებასა და მართვას.
- მისი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია აკადემიის წესდებითა და შიდა რეგულაციებით.
- დირექტორი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, აკადემიის წესდებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

**ოპერაციული მართვა**

ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი

- უზრუნველყოფს აკადემიის მართვის ოპერატიულობას.
- კოორდინაციას უწევს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებსა და პროგრამებს.
- ხელს უწყობს აკადემიის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვას.

აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები და მათი როლები

- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი – უზრუნველყოფს აკადემიური პროცესების შესაბამისობას სტანდარტებთან, ავტორიზაციის მოთხოვნებთან და მუდმივ გაუმჯობესებას.
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი – აკონტროლებს სასწავლო პროცესის სტრატეგიულ დაგეგმვასა და მონიტორინგს.
- სასწავლო პროცესის სპეციალისტი – უზრუნველყოფს სასწავლო დოკუმენტაციის მართვას და პროცესების კოორდინაციას.
- სასწავლო პროცესის კოორდინატორი – პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ოპერატიულ მართვაზე.
- პროგრამების ხელმძღვანელი – მართავს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, მოდიფიკაციას და მონიტორინგს.

სტუდენტური მხარდაჭერა და კარიერული განვითარება

- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი – უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების ინტეგრაციასა და მხარდაჭერას.
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სპეციალისტი – ეხმარება სტუდენტებს კარიერულ ზრდაში და სამუშაოს მოძიებაში.
- ბიბლიოთეკის გამგე – მართავს აკადემიის სასწავლო რესურსებს

**ადმინისტრაციული და ფინანსური მართვა**

- ფინანსური მენეჯერი – აკონტროლებს ბიუჯეტს, ფინანსურ ანგარიშგებას და ფინანსურ პროცესებს.
- იურისტი – უზრუნველყოფს სამართლებრივი საკითხების მართვას და რეგულაციების დაცვას.
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი – მართავს დოკუმენტაციას, Hღ პროცესებს და შიდა კომუნიკაციას.
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოციალური მედია მენეჯერი – აძლიერებს აკადემიის იმიჯს, ხელმძღვანელობს კომუნიკაციას და სოციალურ ქსელებში აქტივობებს.

ტექნოლოგიები და უსაფრთხოება

- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი – უზრუნველყოფს Iთ ინფრასტრუქტურის გამართულობას და ტექნიკურ მხარდაჭერას.
- პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი – აკონტროლებს მონაცემთა უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობას.
- უსაფრთხოების სპეციალისტი – მართავს აკადემიის უსაფრთხოების პოლიტიკას.
- მედდა – უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის ჯანმრთელობის უსაფრთხოებას.
- დაცვა – აკონტროლებს სტუდენტების, პერსონალის და შენობისა უსაფრთხოებას.

**ბათუმის სამედიცინო აკადემიის გუნდის მახასიათებლები და უპირატესობები:**

სანდოობა, პასუხიმსგებლიანი და ეთიკური დამოკიდებულება სასწავლო-პროცესებისა და ადამიანური ურთიერთობების მიმართ, ლოიალურობა, გუნდურობა, სტაბილურობა, სიახლების მიმართ ღიაობა და მზაობა; გულმოდგინება, მიუკერძოებლობა, გამძლეობა.

ჯანდაცვის სფეროს ცოდნა და განათლება, მრავალპროფილური და მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება, ადგილობრივი განვითარების პროგრამებში მონაწილეობის და მხარდაჭერის გამოცდილება; გამორჩეული სექტორთაშორისი თანამშრომლობა და კოალიციური აზროვნება; სამუშაო ძალის მართვისა და გაძღოლის უნარები, ეთიკური პროფესიული სტანდარტების დაცვა, სოციალური და ემოციური ინტელექტის ფლობა.

## SWOT ანალიზი

| | |
|---|---|
| **ძლიერი მხარეები** | პროფესიონალიზმი და სანდოობა<br>წამყვანი პოზიცია რეგიონულ ბაზარზე<br>ძლიერი პარტნიორული ურთიერთობები ადგილობრივ დამსაქმებლებთან და ასოციაციებთან<br>მოქნილობა<br>საუკეთესო პრაქტიკა და მიღწეული შედეგები<br>მდგრადი მატერიალურ-ტექნიკური სასწავლო ბაზა<br>განახლებული და ხელმისაწვდომი ვებგვერდი<br>ფინანსური მდგრადობა<br>რისკების ეფექტური მართვის გამოცდილება<br>სტუდენტთა ეფექტური დასაქმების ხელშეწყობა |
| **სუსტი მხარეები** | დამოუკიდებელი, საკუთარი სივრცის არ არსებობა<br>ციფრული უსაფრთხოების სისტემების არ ქონა<br>უცხო ენების ცოდნა და გამოყენება<br>მენეჯმენტის დაბალი გამოცდილება საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით<br>ახალი სამუშაო ძალის მოზიდვა მენეჯმენტში |
| **შესაძლებლობები** | საქმიანობის გეოგრაფიული არეალის გაფართოება<br>ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა ფასიანი სერვისების მიწოდების გაზრდით<br>ცნობადობის და ხილვადობის გაზრდა<br>საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება<br>სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება<br>პროფესიული განათლების პოლიტიკის შექმნის პროცესებში როლის გაზრდა<br>თანამშრომელთა პროფესიული და მენეჯერული უნარების გაუმჯობესება<br>სტუდენტთა პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული განვითარების სისტემის დანერგვა<br>აკადემიის ინსტიტუციური გაძლიერება, შიდა კონტროლის სისტემების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება |
| **საფრთხეები** | არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო<br>პანდემია და მასთან დაკავშირებული რისკები<br>მიგრაციის ზრდა<br>კიბერთავდასხმა<br>ტექნოლოგიური ცვლილებები |

## დაინტერესებული მხარეების რუკა

| ორგანიზაციის დასახელება | სექტორი | გავლენის დონე |
|---|---|---|
| ცენტრალური და ადგილობრივი სახელისუფლებლო ორგანოები | სამთავრობო | მაღალი |
| ადგილობრივი თემი | კერძო | მაღალი |
| სამუშაოს მაძიებლები/დასაქმებულები | კერძო/საჯარო/არასამთავრობო | საშუალო |
| საგანმანათლებლო ინსტიტუტები | საჯარო/კერძო | საშუალო |
| სტუდენტები | კერძო | მაღალი |
| დამსაქმებლები | კერძო/საჯარო | მაღალი |
| არასამთავრობო ორგანიზაციები | არასამთავრობო | საშუალო |
| დონორები | საერთაშორისო ორგანიზაციები/ დიპლომატიური კორპუსი/კერძო კომპანიები/ საჯარო | დაბალი |
| მედია ორგანიზაციები | კერძო/საჯარო | მაღალი |

## ძირითადი სტრატეგიული მიზნები

| | |
|---|---|
| 1. | შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესება და ინსტიტუციური ზრდა |
| 2. | არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან |
| 3. | სტუდენტების/მსმენელების პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული განვითარების სისტემის დანერგვა |
| 4. | ახალი პროფესიულ/საგანამანთლებლო პროგრამების დანერგვა და ფინანსური რესურსების დივერსიფიკაცია |
| 5. | თანამშრომლობის გაძლიერება – პარტნიორობა ადგილობრივ ასოციციებთან, ევროპულ დაწესებულებებთან  და გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა |
| 6. | საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკებში ჩართულობის ზრდა |

| სტრატეგიული მიზანი N 1. შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესება და ინსტიტუციური ზრდა | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანები | ვადები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელიპირი /პირები |
| | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | 2030 | 2031 | | |
| 1.1 კორპორატიული მმა-რთველობის პოლიტიკის დოკუმენტისა და კომპა-ნიის მართვის რისკების მატრიცის შექმნა; დამტ-კიცება | | | | | | | | დამტკიცებული დოკუმენტი #2 | დირექტორი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი |
| 1.2. ფინანსების მართვისა და შესყიდვების პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა და დამტკიცება | | | | | | | | დამტკიცებული დოკუმენტი #2 | დირექტორი; ფინანსური მე-ნეჯერი; ხარისხის უზრუნვე-ლყოფის მენეჯერი; სასწა-ვლო პროცესის მართვის მენეჯერი; საზოგადოება-სთან ურთიერთობისა და სოციალური მედია მენე-ჯერი; |
| 1.3. მისიის, ხედვის და ღირებულებების გადახედვა/რედაქტირება | | | | | | | | შემუშავებული მისია, ხედვა და ირებულებები, რომელიც ასახულია სტრატეგიულ განვითა-რების გეგმასა და აკადე-მიის ვებგვერდზე. საინ-ფორმაციო პოსტი ფეის-ბუქ გვერდზე (10 პოსტი) | დირექტორი; მატერიალური რესურსებისა და ინფორ-მაციული ტექნოლოიების მართვის მენეჯერი; ხარის-ხის უზრუნველყოფის მენეჯერი; სასწავლო პროცე-სის მართვის მენეჯერი. |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.4. ციფრული უნარებისა და პროფესიული კომუნი-კაციების გაუმჯობესება აკადემიის მენეჯმენტსა და მასწავლებლებში | | | | | | | | სასწავლო-ტრენინგ პროგრამა (1);<br>#12 ჩატარებული ტრენი-ნგების რაოდენობა ;<br>(%70) თანამშრომელთა რაოდენობა, რომელთაც აიმაღლეს კომპეტენცია და ცოდნა;<br><br>(%70)თანამშრომელთა რაოდენობა, რომელიც იყენებს შეძენილ ცოდნას და უნარებს აკადემიის განვითარებისთვის | დირექტორი;<br>ხარის-ხის უზრუნველყოფის მენეჯერი;<br>სასწავლო პროცე-სის მართვის სამსახურის უფროსი<br>მატერიალური რესურსებისა და ინფორ-მაციული ტექნოლოიების მართვის მენეჯერი; |
| 1.5. მენეჯერთა პროფე-სიული გადამზადება მე-ნეჯერული უნარ-ჩვევე-ბისა და ლიდერობის მიმართულებით | | | | | | | | (% 70) მენეჯერები, რომლებიც თავდაჯე-რებულად გრძნობენ თავს გადაწყვეტილებე-ბის მიღებასა და აღსრულებაში;<br><br>(%70 )მენეჯერები, რომლებმაც გააუმჯო-ბესეს შრომის ხარისხი<br><br>(#10) მენეჯერი, რომელიც ავსებს ყოველკვირეული ელექტრონული სამუშაო ჟურნალს | დირექტორი;<br>ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი<br>ხარის-ხის უზრუნველყოფის მენეჯერი;<br>სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი<br>მატერიალური რესურსებისა და ინფორ-მაციული ტექნოლოიების მართვის მენეჯერი; |
| 1.6. ტალანტების მართ-ვის პროცესების გაუმჯო-ბესება და ახალი სამუშაო ძალის მოზიდვა | | | | | | | | დაქირავებული სამუშაო ძალა (#2)<br>% გაზრდილი მომართვი-ანობა | დირექტორი<br>უირისტი<br>საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | აკადემიაში დასაქ-მებასთან მიმართებაში (30%) | მართვის მენეჯერი |
| 1.7. აკადემიის ცნობადო-ბისა და ხილვადობის ზრდა დასავლეთ საქარ-თველოს მასშტაბით | | | | | | | | %ზრდა გამომწერების სოციალურ ქსელებში (20%);<br><br>#ჩატარებული საგანმან-ათლებლო ინფო ტურები მოსწავლეებისთვის (წე-ლიწადში ოთხი)<br><br>#ჩატარებული საკონსუ-ლტაციო-საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზ-რდებისთვის (წელიწად-ში ოთხი)<br><br>#რეგიონული შეხვედ-რების ჩატარება დაინტე-რესებული მხარეებთან (წელიწადში ოთხი)<br><br>#სატელევიზიო გადაცე-მებში მონაწილეობა (წელიწადში 5)<br><br>#ონლაინ-მედია გამო-ცემაში სტატიების დაბეჭ-ვდა (წელიწადში 5)<br><br>#საგანმანათლებლო და დასაქმების ფორუმებში მონაწილოება | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი<br><br>ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი<br><br>სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სპეციალისტი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | (წელიწადში 2) | |
| 1.8 სამუშაო პირობების გაუმჯობესება შრომითი ბენეფიტებისა და ეფექ-ტური სახელფასო პოლი-ტიკის განვითარებით | | | | | | | | % გაზრდილი ხელფა-სების<br><br>% დაფინანსებული ტრენინგ-პროგრამები<br>#თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა<br><br>#შრომის უსაფრთხოების სამსახურის მონიტო-რინგის შეფასების ანგა-რიში (1)<br><br>% თანამშრომელთა მიერ გამოყენებული კარიერული თერაპია | დირექტორი<br>იურისტი<br>ფინანსური მენეჯერი<br><br>საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი<br><br>შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი |
| 1.9. სტრატეგიული კომუ-ნიკაციის გეგმის შექმნა | | | | | | | | სტრატეგიული კომუნი-კაციის გეგმა (დოკუმენტი 1) | დირექტორი |
| 1.10. თანამშრომელთა სამუშაოს შეფასებისა და სამოტივაციო პროგრამის დანერგვა (KPI & M) | | | | | | | | #დანერგილი KPI | დირექტორი |
| 1.11. შრომის უსაფრთხო-ებისა და პირველადი დახმარების ტრენინ-გების განხორციელება | | | | | | | | ჩატარებული ტრენინგის რაოდენობა (#წელიწად-ში 2)<br>ტრენინგში მონა-წილეთა რაოდენობა (#) | შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი<br>მედდა |
| 1.12. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებ-ლობის | | | | | | | | კორპორატიული სოცია-ლური პასუხისმგებლო-ბის პოლიტიკის | დირექტორი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პოლიტიკის შექმ-ნა | | | | | | | | დოკუმე-ნტი (1) | |

**სტრატეგიული მიზანი N 2. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან**

| ამოცანები | ვადები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელიპირი /პირები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | 2030 | 2031 | | |
| 2.1.2D შტრიხკოდ წამკითხველის მუშაობის პრაქტიკული ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება ოპერაციების ოპტიმიზაციისთვის | | | | | | | | #შეძენილი სკანერი (1 ცა-ლი)<br>ჩატარებული სწავლება | დირექტორი<br>ფინანსური მენეჯერი |
| 2.2 სააფთიაქო პროგრამაში მედიკამენტების ძიების, გაყიდვის, ინვენტარიზაციის და რეპორტების გენერირების უნარების განვითარება | | | | | | | | #პროგრამული უზრუნვე-ლყოფა აკადემიის სასწა-ვლო კომპიუტერებში (შეძენილი ლიცენზია) | დირექტორი<br>ფინანსური მენეჯერი |
| 2.3 ISO 9001 ხარისხის მართვის სისტემის დანე-რგვა | | | | | | | | #ხარისხის მართვის #პო-ლიტიკის დოკუმენტი გაცემული სერტიფიკატი | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>იურისტი<br>ფინანსური მენეჯერი |
| 2.5. ციფრული დაფების შეძენა | | | | | | | | | დირექტორი<br>ფინანსური მენეჯერი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.6. ლეპტოპებისა და პროექტორის შეძენა | | | | | | | | #შეძენილი ლეპტოპი (6) და პროექტორი (1) | დირექტორი<br>ფინანსური მენეჯერი |
| 2.7. ციფრული უსაფრთხოების სისტემის აწყობა | | | | | | | | #ციფრული უსაფრთხო-ების პოლიტიკის დოკუ-მენტი<br>#Microsoft Office შესყიდვა (ლიცენზია წლიური) | დირექტორი<br>ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი |
| 2.8. ცნობიერების ამაღლება ხელოვნური ინტელექტის შესახებ | | | | | | | | #გაზრდილი ცნობიერება (80%) | ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი |
| 2.9. ციფრული საგანმანათლე რესურსების შექმნა | | | | | | | | #შექმნილი ციფრული რესურსი კბილის ტექნი-კოსის მიმართულებით (3 საგანმანათლებლო რესურსი) | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>პროგრამის ხელმძღვანელი<br>პროფესიული მასწავლებელი<br><br>ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი |

| სტრატეგიული მიზანი 3: სტუდენტების/მსმენელების პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული განვითარების სისტემის დანერგვა | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანები | ვადები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელიპირი /პირები |
| | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | 2030 | 2031 | | |
| 3.1. კარიერული სერვისების გზამკვლევის შექმნა | | | | | | | | შემუშავებული გზამკლევი (1) | დირექტორი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.2. კარიერული დაგეგმვის სპეციალისტის გადამზადება | | | | | | | | შემუშავებული სასწავლო გეგმა | დირექტორი |
| 3.3. სტუდენტებში დასაქმებისა და რბი-ლი უნარების განვითარება | | | | | | | | #შემუშავებული პროგრამა პროგრამებში ჩართულ მონაწილეები (100) | |
| 3.4. თანამშრომელთა გადამზადება პროფე-სიული კონსულტირებისა და კარიერული განვითა-რების მიმართულებით | | | | | | | | მიღებული სერტიფიკატი (1) | დირექტორი |
| 3.5. კარიერული კონსულ-ტაციების მიწოდება სტუ-დენტებისთვის | | | | | | | | გაძლიერებული თანა-მშრომელი, რომელიც მზად არის ჩაატაროს კარიერული პროფესი-ული კონსულტაციები (100 კონსულტაცია წე-ლიწადში) | დირექტორი<br><br>სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სპეციალისტი<br>პროგრამის ხელმძღვანელი<br>კურატორი |
| 3.6. კარიერული მენტორობის პროგრამის განხორციელება | | | | | | | | #ჩატარებული 32 საათი-ანი სასწავლო პროგრამა<br>#მონაწილეთა შეფასების ანგარიში<br><br>#გადამზადებული თანა-მშრომლები, რომლებიც იყენებენ შეძენილ ცოდ-ნას და პროფესიული კო-ნსულტირების | დირექტორი<br>ფინანსური მეჯერი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სტუდენტთა და |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | უნარებს სტუდენტებთან<br><br>#სტუდენტთა კმაყოფილეის კვლევის რეპორტი<br><br>#ჩატარებული 100 კონსუ-ლტაცია<br>#შერჩეული მენტორები (20)<br>გაძლიერებული სტუდენტები, რომლებიც უკეთეს კარიერულ გადაწყვე-ტილებას ღებულობენ | კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სპეციალისტი |
| 3.7. დასაქმების ფორუმის ორგანიზება | | | | | | | | ჩატარებული დასაქმების ფორუმი (წელიწადში ერ-თხელ)<br><br>#ფორმუში ჩართული დამსაქმებელთა რაოდენობა<br>%70 წილი დასაქმებულ კურსდამთავრებულები (წელიწადში%80) | დირექტორი<br>დირექტორი<br>ფინანსური მეჯერი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი |
| 3.8. სტუდენტთა თემატური კლუბების შექმნა | | | | | | | | შექმნილი კლუბი#3 | დირექტორი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი<br>კურატორი |
| 3.9. სტუდენტთა პორ-ტალის შექმნა | | | | | | | | შექმნილი პორტალი | დირექტორი<br>ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | მართვის მენეჯერი |
| 3.10. კურსდამთავრებუ-ლთა ასოციაციის შექმნა | | | | | | | | წესდება და ამონაწერი რეგისტრირებული წევრები (20) | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი<br><br>ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი<br>სტ.კურს. სპეციალისტი |
| 3.11. თემატური კონფე-რენციების ჩატარება | | | | | | | | ჩატარებული კონფერენცია#3 | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი |
| 3.12. ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამე-ბის განცორციელება | | | | | | | | განხორციელებული ანა-ზღაურებადი სტაჟირების პროგრამა (წელიწადში)#25 | დირექტორი<br>ფინანსურიმენეჯერი |
| 3.13. არაფორმალური განათლების ფარგლებში პიროვნული და პროფე-სიული განვითარების ტრენინგ-პროგრამების ჩატარება (დასაქმების უნარები, კონფლიქტების მართვა, მოტივაცია, ურ-თიერთობების მენეჯმენტი) | | | | | | | | მენტორინგის პროგ-რამაში ჩართულ კურს-დამთავრებულთა რაო-დენობა (30%)<br>აკადემიის სტუდენტებით დაინტერესებულ დამსა-ქმებელთა რაოდენობა (100)<br><br>თავდაჯერებული და სა-კუთარ შესაძლებლობე-ბში დარწმუნებული სტუ-დენტები %80 | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი<br>სტ.კურს. სპეციალისტი |
| 3.14. დღის სტუმრის | | | | | | | | გაზიარებული წარმატე- | დირექტორი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრო-გრამის განხორციელება (წარმატებული ისტორი-ების გაზიარება) | | | | | | | | ბული ისტორიები (10 ადამიანი წელიწადში) | ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი<br>საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოც.მედია მენეჯერი |
| 3.15. პროფესიული გაცვ-ლითი პროგრამების და-ნერგვა ფარმაციის, კბი-ლის ტექნიკოსის, საექ-თნო მიმართულებით | | | | | | | | წარმატებული სტუდენ-ტთა რაოდენობა (წელი-წადში 70%)<br>გაფორმებული ურთიერ-თთანამშრომლობის მე-მორანდუმი (წელიწადში 1) | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი |
| 3.16. საინფორმაციო სე-სიების წარმართვა ჯან-საღი ცხოვრების წესის მიმართულებით სტუდენ-ტებისა და თანამშრომ-ლებისთვის | | | | | | | | გაზრდილი ცნობიერება ჯანსაღი ცხოვრების წე-სის შესახებ (80%) | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი<br>საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოც.მედია მენეჯერი |
| 3.17. ჯგუფური ფსიქოთე-რაპიის სესიების განხორ-ციელება | | | | | | | | #სტუდენტთა შეფასების რეპორტი | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი |
| 3.20. ზრუნვის ეკონომი-კაში ჩართული პირთა უფლებების დაცვის მექა-ნიზმებზე ტრენინგის ჩა-ტარება | | | | | | | | #ინფორმირებული ახა-ლგაზრდები, რომლებიც უკეთეს გადაწყვეტილე-ბას ღებულობენ<br><br>#მონაწილეთა დასწრების ფორმა<br><br>#გაზრდილი ცნობიერება (80%) | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>იურისტი |

| სტრატეგიული მიზანი N 4. ახალი საგანამანთლებლო/პროფესიული პროგრამების დანერგვა და ფინანსური რესუსების დივერსიფიკაცია | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანები | ვადები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელიპირი /პირები |
| | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | 2030 | 2031 | | |
| 4.1. შრომის ბაზრის კვლევის წარმოება | | | | | | | | ჩატარებული კვლევა | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი |
| 4.2. დამსაქმებელთა სა-ჭიროებების კვლევა | | | | | | | | ჩატარებული კვლევის დოკუმენტი | ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი |
| 4.3. ფასიანი სამედიცინო რეინჯერის მოკლევა-დიანი პროფესიული გა-დამზადების პროგრამის შემუშავება და განხორ-ციელება | | | | | | | | შემუშავებული პროგრამა | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი<br>პროგრამის ხემძღვანელი |
| 4.4. ფასიანი მოკლევა-დიანი სასერტიფიკატო პროგ-რამების შექმნა და განხორციელება<br>საექთნო და კბილის ტექნიკოსის მიმართულებით ახალგა-ზრდა გოგონებისა და ბიჭებისთვის | | | | | | | | შემუშავებული პროგრამები (3)<br><br>კურსდამთავრებულთა რაოდენობა ( წელიწადში 50 სტუდენტი) | დირექტორი<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი<br>პროგრამის ხემძღვანელი |
| 4.5. ახალი გრანტების დაწერა და დაფინანსე-ბის მოპოვება საერთაშო-რისო დონორებისგან | | | | | | | | დაფინანსებული პროექტი (წელიწადში 1) | დირექტორი |
| 4.6. საკონფერენციო და შეხვედრების ოთახის | | | | | | | | #გაფორმებული კონტრაქტი (წელიწადში | დირექტორი<br>იურისტი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გაქირავება | | | | | | | | 2) | ფინანსური მენეჯერი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოც.მედია მენეჯერი |
| 4.7. სატრენინგო მომსახუ-რების შექმნა და განხო-რციელება | | | | | | | | #გაყიდული 4 ტრენინ-პროგრამა | დირექტორი იურისტი ფინანსური მენეჯერი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოც.მედია მენეჯერი |

| სტრატეგიული მიზანი N 5. თანამშრომლობის გაძლიერება – პარტნიორობა ადგილობრივ ასოციაციებთან, ევროპულ დაწესებულებებთან და გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანები | ვადები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელიპირი /პირები |
| | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | 2030 | 2031 | | |
| 5.1. გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელის წევრობა | | | | | | | | საწევრო შეთანხმება (დოკუმენტი) | დირექტორი |
| 5.2. აჭარის რეგიონში საე-ქთნო ასოციაციასთან ერ-თად პროექტების განხორ-ციელება | | | | | | | | განხორციელებული პროექტი (1) | დირექტორი იურისტი ფინანსური მენეჯერი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოც.მედია მენეჯერი |
| 5.3. ევროკავშირის პორტა-ლებზე რეგისტრაცია | | | | | | | | რეგისტრაციის დოკუმენტი | დირექტორი |
| 5.4. თურქეთის სამედი-ცინო დაწესებულებთან ურთიერთთამშრომლობის მემორანდუმი გაფორმება | | | | | | | | გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი (წელიწადში 2) | დირექტორი იურისტი |
| 5.5. საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის მიღება | | | | | | | | განხორციელებული სასწა-ვლო ტური (წელიწადში 1) #მივლინების დოკუმენტი #ფოტო-ვიდეო მასალა | დირექტორი იურისტი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოც.მედია მენეჯერი |
| 5.6. რევაზ უზუნაძის სახე-ლობის სტიპენდია ახალ-გაზრდებისთვის | | | | | | | | #გაცემული სტიპენდია (2000 ლარი) #გაზრდილი მოტივაცია ბათუმის სამედიცინო აკადემიის სტუდენტებში | დირექტორი იურისტი ფინანსური მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოც.მედია მენეჯერი |
| 5.7. საერთაშორისო პრო-ექტებში მონაწილეობის მიღება პროფესიული განა-თლების მიმართულებით | | | | | | | | EFVET-ში გაწევრიანება | დირექტორი ფინანსური მენეჯერი |

მიზანი6. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკებში ჩართულობის ზრდა

| ამოცანები | ვადები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელიპირი /პირები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | 2030 | 2031 | | |
| 6.1. საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენა სახელმწიფო ინსტიტუტებთან ექთნის თანაშემწის კარიერული განვითარების მიმართულებით | | | | | | | | ინიციატივის დოკუმენტი (წელიწადში 1 ინიციატი-ვა) | დირექტორი იურისტი |
| 6.2. საინფორმაციო საჯა-რო კამპანიების წარმოება საზოგადოებრივი ჯანდა-ცვის მიმართულებით (პა-ციენტის უფლებები, რეპ-როდუქციული უფლებები, პირის ღრუს ჰიგიენა, ძუძუს კიბოს პრევენციის შესახებ და მისთ) | | | | | | | | განხორციელებული ვიზ-იტი ადგილობრივი თვი-თმართველობაში (წელი-წადში 2 ვიზიტი)<br>წარმოებული საინფორ-მაციო კამპანია (წელიწა-დში ერთხელ)<br>#მედია გაშუქება (წელიწადში 4)<br>#საინფორმაციო პოსტი სოციალურ გვერდებსა და ვებგვერდზე (წელიწადში 20 პოსტი)<br>#ჩატარებული შეხვედ-რები (წელიწადში 4 შეხ-ვედრა)<br>#ჩატარებული პროფორიე-ნტაციის დღეები აკადემიაში (წელიწადში 2 ვიზიტი) | დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი იურისტი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოც.მედია მენეჯერი |
| 6.3. ადგილობრივ თვით-მართველობასთან და სკოლებთან დიალოგის წარმოება ჯანდაცვის სე-რვისებთან მიმართებაში | | | | | | | | #წარდგენილი ინიციატივები (წელიწადში ორი ინიციატი-ვის შემუშავება)<br>#სერვისებზე მიმართვიანო-ბის ზრდა (20%) | დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი იურისტი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | სოც.მედია მენეჯერი |
| 6.4 მშობლებთან საინფო-რმაციო და საკონსულ-ტაციო შეხვედრების წარმოება | | | | | | | | #ფეისბუქ ჯგუფი მშობლები პროფესიულ განათლები-სთვის #საკონსულტაციო შეხვედ-რების რეპორტი | დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი იურისტი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოც.მედია მენეჯერი |
| 6.5 ტექნიკური და პრო-ფესიული განათლებისა და ტრენინგების ევრო-პული ფორუმთან პარტ-ნიორობა | | | | | | | | #საწევრო გადასახადი | დირექტორი ფინანსური მენეჯერი |
| 6.6. სამოქალაქო სექტორ-თან თანამშრომლობა სოციალური პოლიტიკე-ბისა და ხარისხიანი გა-ნათლების მიმართულე-ბით | | | | | | | | #გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი #საინფორმაციო პოსტი ფეისბუქსა და ინსტაგრამ გვერდებზე (წელიწადში 2 ორგანიზაცია) #ერთობლივი საგანამანთ-ლებლო პროექტი (წელიწადში 1) | იურისტი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოც.მედია მენეჯერი |